საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება №199

თბილისი „06“ 03 2018 წ.

დაწყებითი საფეხურის სასკოლო სახელმძღვანელოების/სერიების მაკეტების საჯარო განხილვის ვადის დადგენასთან დაკავშირებით

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N37 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „მ“ ქვეპუნქტებისა და „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული წესის 9[1] მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2018 წლის 06 მარტის N262850 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაწყებითი საფეხურის სასკოლო სახელმძღვანელოების/სერიების მაკეტების (შემდეგში - სახელმძღვანელოს მაკეტი) საჯარო განხილვის ვადად დადგინდეს 2018 წლის 5 მარტიდან 25 მარტის ჩათვლით პერიოდი. სახელმძღვანელოების მაკეტების საჯარო განხილვაში მონაწილეობაზე დაიშვას დაწყებითი საფეხურის სასკოლო სახელმძღვანელეობის/სერიების გრიფირებაზე წარმოდგენილი და წარმოებაში მიღებული განაცხადები (მაკეტები).

2. სახელმძღვანელოების მაკეტები საჯარო განხილვისთვის გამოქვეყნდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამის ვებგვერდზე - grifireba.emis.ge;

3. დაევალოს:

ა) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს - მედიისა და საზოგადოების პერმანენტული ინფორმირება სახელმძღვანელოების მაკეტების საჯარო განხილვის შესახებ;

ბ) სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას - გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონული სისტემის შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფა საჯარო განხილვის მიმდინარეობისას;

გ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტს - საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის მიწოდება და კოორდინაცია;

დ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაფუძნებულ სსიპ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს სახელმძღვანელოების მაკეტების საჯარო განხილვის ხელშეწყობა მასწავლებლებისათვის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის მიწოდების გზით.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6).

მიხეილ ჩხენკელი